კვირა, 30 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი — წელიწადი პირველი № 287

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადება დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს ... საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

## ყოველდღიური გაზეთი

# „ისარი"

## მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.
ნახევარი წლით " " " " —4 მანეთი.
ერთი თვით " " " —90 კაპ.

ძველ ხელის მომწერლებს, ვისაც 1908 წლისთვის გაზეთი არ დაუკვეთნია, პირველ იანვრიდანვე მოესპობათ გაზეთის გზავნა. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Кочуб. ул. № 14. И. С. Агладзе.

---

28 დეკემბერს გარდაიცვალა

## გენ.-მაიორი ივანე ბესარიონის ძე საგინოვი,

რასაც უბედურებით შეწუხებულნი შვილი და ქალები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

პანაშვიდები 29 დეკემბერს, შუადღის 1 საათზედ და საღამოს 7½ ს. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 30 დეკემბერს 9½ საათისთვის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში; დაკრძალვა ორშაბათს სოფ. კოდაში. (2—540—2)

---

**დარია, ივანე, სონა, მ რია, დავით და ნინო გოგიაშვილები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას: პირველნი—შვილის, მეორენი—ძმისა, ხოლო უკანასკნელნი—ცოლის ძმის მხატვარის

## ანტონ ივანეს ძის გოგიაშვილისას.

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, კვირას, 30 დეკემბერს, დილის 10 საათზე ელისაბედის ქუჩიდან, № 108, სახ. ციციანოვისა, კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—541—1)

---

კვირას 30 დეკემბერს

## ბარბარე ვახტანგ ბარათაშვილის ასულის ამაშუკელის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, კუკიის ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში (ალექსანდროვის ქუჩა) გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 11 ნახევარ საათზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები. (1—599—1)

---

## მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

# „ექსელსიორ"

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვემოდ

## აცხადებს,

რომ, „ექსელსიორის" ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველასაქონლის ფასები

# დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია", ქალებისა და ვაჟების გაუძლენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

## ფასები საქარხნო და შეუვაჭრებლად

„ექსელსიორის" ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

## ოქროს მედალი

(10—493—8)

---

## სახალხო გაზეთი

# „მიწა"

**1908** წელს ხელახლა გამოვა იმავე მიმართულებით, როგორც გამოდიოდა წინად.

„მიწა" ემსახურება მიწის მუშა გლეხებს და ყოველთვის და ყოველგან დაიცავს მათ ინტერესებს.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვა პირველ იანვარს.

გაზეთის კანტორა იმყოფება „სორაპანის" სტამბაში, სადაც ყოველი ანგარიშისათვის უნდა მიმართონ ის. გაჩეჩილაძეს. ფოსტის ადრესი: Тифисъ типографія „Сорапань". Газета „Мица". ხოლო გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ მასალას უნდა წააწერონ ს. ფირ—ს გადასაცემად. (3—2)

---

კვირას, 30 დეკემბერს, გამოვა

**იუმორისტულ ჟურნალი**

# „ცეცხლი".

გაზეთის გამყიდველებს შეუძლიანთ იყიდონ ჟურნალი „ორაპნის" სტამბაში.

---

# ქუთაისში

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კონტორა „იმერეთი" ხელახლა ატყობინებს ქუთაურ ხელშის მომწერლებს, რომ წლიწდი თავდება და **ხვედრი ფულის შემოტანა დააჩქარონ**. ამასთან, რადგან რამდენიმე ბოროტ-მოქმედება მოხდა, კონტორა ითხოვს ფული თვით მის პატრონს ის. კვიცარიძეს წარუდგინონ და ვისაც გაზეთები არ მისდის, კანტორიდან მოითხოვოს დროებით. (5—2)

---

კვირას, 30 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, მოხდება

## საზოგადო კრება

### საგირავო საზოგადოებისა

კრება მოხდება ვაჭართა სტაროსტას კამერაში, ფრეილინის ქ., № 4. (2—6. )

---

№ 20—1. № 20—1.

# ნიშადური

(საახალწლო ნომერი)

გამოვა გასასყიდად ტფილისში და ქალაქს გარედ **ორშაბათს, 31 დეკემბერს საღამოს** ჟამს. ფასი ყველგან ორ ორი შაური.

**შინაარსი**: სხვა და სხვა წერილები, ლექსები, იგავ-არაკები, საახალწლო მილოცვა და ნობათები, სურათები, ნახატები და კარიკატურები ფერადად დაბეჭდილი.

რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**.

---

კბილის ექიმი

### ალ. ხოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 6—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

---

გაიხსნა

# დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

**ბიუროს ადრესი**: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—19)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

კვირას, 30 დეკემბერს, საღამოთი **ჩვეულებრივ ფასებით** წარმოდგენილი იქნება:

## „კ ა რ მ ე ნ ი"

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ბიზესი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი გორინა, კორსაკოვა-ლიუბინსკაია, ტურჩანინოვა; ბ-ნნი აკიმოვი, გრინევი, დე-რობერტი, მახინი, ლეონდოვი, იუჩენკოვი.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი**. დასაწყისი 8 საათზე.

31 დეკემბერს. «ასე სთქვა მეფემ». (0—26)

---

## თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა"** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

# არომატ

### საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. ✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—29)

---

### ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**იოხელსონი**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოლოტოვი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორდოვიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 11½—1½ საათ.

**ანიკინი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნიკიტინი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნერსესოვი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორიაჩეველი**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს

**პოპარსკი** — | კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** — |

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—78)

---

ე ქ ი მ ი

### გ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭავაძისა(25—წლ

---

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—261)

---

ე ქ ი მ ი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ე ქ ი მ ი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

### ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ექიმი

### ნ ზ. მრევლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებით სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაკავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—38)

---

### ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

### ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

### ქ. ქუთაისში

### ე ქ ი მ ი ბ ა დ რ ი ძ ე

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; **ველქირვების, ხუნაგის და ყვავილის აცრა**. დილის 8—12 საათ., საღამოს 4—5 საათზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (15—კვ.—6)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

### სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—16)

---

### ქ. ქუთაისში

### ე ქ ი მ ი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

იღებს ყურით, ყელ ით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—45)

---

კბილის ექიმი

### ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—8)

---

## ტფილ. საკრებულოში

ორშაბათს, 31 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

### რაც გინახავს ველარ ნახავ!

კომედია 3 მ. ავ. ცაგარლისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია კვირას, 6 იანვარს. (1—543—1)

---

ტფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან

ტფილისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარი ეძებს დასაქირავებლად 1 ენკენისთვიდან 1908 წ. 2 ან 3 გვერდით მყოფს სახლს (არა ნაკლებ 28 ოთახისა) ორი ბაღით. მსურველთ ეხლავე შეუძლიანთ მიმართონ თავშესაფარის გამგეს ექიმ მიხეილ გედევანიშვილს, ყოველ დღე 11—12 საათზე. ყორღანოვის ქუჩა № 20. (1—536—1)

---

ვაკის მემამულეთა საყურადღებოდ.

ვთხოვთ იმ მამულის პატრონთ, რომელთაც მამული ვაკეში უმთავრეს ქუჩის პირად აქვთ, მობრძანდნენ დღეს, დილის 12 საათზედ ქართულ გიმნაზიის მახლობლად ზოგიერთ ფრიად საყურადღებო საგანზედ მოსალაპარაკებლად. (1—544—1)

## ტფილისი, 30 დეკემბერი.

რუსეთის ცხოვრების მეთვალყურენი უფრო ხშირად და ხშირად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში რუსის გლეხობა შესამჩნევად განვითარდა. განთქმული განუვითარებლობით, ღრმა უმეცრებით და საარაკო კონსერვატიზმით რუსის „მუჟიკი“, დიდ პოლიტიკურ რევოლიუციის ზედგავლენით, იღვიძებს და შესანიშნავის ენერგიით ეწაფება ახალს ცხოვრებას. ხალხში მომუშავე რუსის ინტელიგენტი განცვიფრებულია იმ ევოლიუციის სიძლიერით, რომელიც ახლა სწარმოებს რუსეთის სოფელში და „ტეტიათა მოტრფიალეთ“ კვლავ ეღიმებათ წინანდელი ოცნება და იდეალები, წინანდელი იმედი, რომ რუსეთის ხსნა ისევ და ისევ გლეხობისაგანაა მოსალოდნელი. მართალია, აგრარულ მოძრაობის შეჩერებამ ბევრი ჩააგდო საგონებელში, ბევრ ინტელიგენტს შთაუნერგა სასოწარკვეთილება, მაგრამ თან და თან უიმედობა ადგილს უთმობს სრულიად წინააღმდეგ გრძნობათ იმ ფაქტების მეოხებით, რომელთაც ყველანი ერთხმად აღნიშნავენ დღეს რუსის გლეხობის ცხოვრებაში. მეთვალყურენი, განურჩევლად პარტიებისა, მოწმობენ, რომ სოფელში, თვით გლეხების მაცადინეობით და ინიციატივით იწყება დიდი კულტურული მოძრაობა. დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხი, დამშეული და დაბეჩავებული არაფერს ზოგავს, რათა ხელი შეუწყოს თავის განვითარებისა და გონების გაღვიძების საქმეს.

ამ მიმართულების საინტერესო სურათს გვიხატავენ, სხვათა შორის, სამაზრო ერობათა უკანასკნელი სესსიები. როგორც იცით, რუსეთის ერობა ეხლა მემარჯვენეთა და შავრაზმელთა ხელშია, რომელნიც ბარბაროსულის ენერგიით ანადგურებენ წინანდელ „ლიბერალურ“ ერობის საკულტურო სიმდიდრეს. წინანდელი საერობო კულტურტრეგერი განიდევნა, ხოლო ახალი წინააღმდეგია ხალხის განვითარებისა და მხოლოდ იმისთვის ზრუნავს, რომ ადგილობრივ თვითმართველობის საშუალებით თავისი კლასსიური ბატონობა განამტკიცოს. აი, ამ ტიპის საერობო მოღვაწეთ მოულოდნელად აღმოუჩნდა მედგარი მოწინააღმდეგე იმ მხრიდან, საიდანაც ისინი არ მოელოდნენ. უბრალო გლეხი, ის „სერი მუჟიკი“, რომლის ერობაში შეშვება შავრაზმელთ არ აშინებდა, უეცრად გამოესარჩლა ძველ ერობის ტრადიციებს და მედგრად წინააღუდგა ახლად მოვლენილ ვანდალებს. გლეხი ხმოსნები წინანდებურის კრძალვითა და მორჩილებით როდი სხედან საერობო კრებებზე, არამედ მწყობრ და სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებენ უმრავლესობის წინააღმდეგ. მათის ოპოზიციის წყალობით ბევრ სამაზრო ერობაში ჩაიშალა რეაქციონერთა პლანები სკოლების დახურვის შესახებ. უფრო საგულისხმიერო ისაა, რომ გლეხების ოპოზიციას ინტელიგენტები როდი მეთაურობენ, თვით უბრალო გლეხი, თავის ინიციატივითა და თვითშეგნებით ეწევა კულტურულ ბრძოლას თანამედროვე ერობაში...

ერობის გარეშეც სწარმოებს თურმე ამ ნიადაგზე მუშაობა. გლეხების ყრილობანი დადგენილებათ ადგენენ სკოლების და ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ და თან ებრძვიან იმ ერობათ, რომელთაც უკვე დახურეს სკოლები... ამასთან ერთად დღითი-დღე ვრცელდება რუსის სოფელში კოოპერატიული მოძრაობა. აქაც თაოსნობა თვითონ გლეხებს ეკუთვნის. შიდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, სამაზრო ერობათა ანგარიშების მოწმობით, ამ ჟამად უკვე ბევრი სხვა და სხვა კოოპერაცია არსებობს თურმე. პირველ ხანებში გლეხები აარსებდნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ, რომელთა დანიშნულება არის საუკეთესო სამეურნეო ცოდნათა გავრცელება, საუკეთესო იარაღისა და თესლის შეძენა-გავრცელება და სხვა. ახლა უფრო ვრცელდება მომხმარებელი კოოპერაციები. ბევრგან გლეხებმა-ხმოსნებმა მთელი გეგმა წარუდგინეს ერობათ კოოპერაციების გახსნისა და დახმარების საჭიროების შესახებ და აგრეთვე მცირე კრედიტის საერობო საზოგადოებათა დაარსების შესახებაც...

ადგილი ნებას არ გვაძლევს ყველა ფაქტები აღვნუსხოთ, მაგრამ ის, რაცა ვთქვით, თავის თავადაც გვიმტკიცებს, რომ რუსის გლეხობა იღვიძებს და დიად კულტურულ მუშაობას იწყებს. ეს მოძრაობა გარეგნული და ზერელე როდია, არამედ ღრმა ცვლილების მომასწავებელი. სულთამხუთავმა რუსეთის ბიუროკრატიამ განიზრახა ცხოვრების შეჩერება, მოძრაობის ალაგმვა, მაგრამ ამის ძალა მას არ შესწევს და ერთხელ გაღვიძებულ ხალხის გონებას წინ ვერაფერი გადაეღობება. იგი შემუსრავს ყველა ხელოვნურ ბორკილებსა და გაიკაფავს გზას ხალხის ცხოვრების განახლებისაკენ.

# ახალი ამბავი

—:—

✦ **წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება.** მკითხველებს მოვაგონებთ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წესდების ერთ მუხლის შინაარსს; ამ მუხლის ძალით ის წევრები, რომელნიც საწევრო ფულს არ შეიტანენ ამ თვის დამლევამდე, პირველ იანვრიდან საზოგადოებიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან. ამიტომ საჭიროა დაიჩქაროს საწევრო ფულის შეტანა ყველა იმან, ვისაც სახალხო განათლების საქმის დახმარება სწყურიან და უნდა, რომ საზოგადოების წევრად დარჩეს.

✦ **ჩამოხრჩობა.** ბაქოში დახვრიტეს ივ. ივანოვი რომელსაც ჰბრალდებოდა ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტრის პესტოვის მოკვლა. განჯაში ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს მამედ-ქერბალაი-რაშიდ-ოღლის, რომელსაც ჰბრალდებოდა ორის სტრაჟნიკის მოკვლა.

✦ **შეპყრობა.** შეიპყრეს ცხრა კაცი, რომელთაც ბრალდებენ ყარაიაზთან საფოსტო მატარებლის გაძარცვის განზრახვას. შეპყრობილთა გვარები: დიდთონეთელი პეტრე შავშიშვილი, ლიხაურელი (გურია) ბარნაბა თოფურია, ტფ. საქონლის სადგურზე მოსამსახურე სერგეი თაყაიშვილი, ტფილისელი ეფიმ კუჩუკი, ნიკორწმინდელი (რაჭა) ალექსანდრე შალაძე, მცხეთელი ილიკო იმერლიშვილი, აკიმ დოროშენკო, ტფილ. სახელ. სასწავლებლის მოწაფე ოჰანეზ ალაბიანი, აზნაური ვასილ დათუნაშვილი (იგივე შარაშიძე).

✦ **საქმე საიდუმლო სტამბის შესახებ.** ტფ. სამოსამართლო პალატამ დაამთავრა საქმე ავლაბარში აღმოჩენილ საიდუმლო სტამბის შესახებ. ამ სტამბაში, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ნახეს ყუმბარები, არა-ლეგალური ლიტერატურა და სხვა. სასამართლომ გადუწყვიტა: დ. როსტომაშვილს, სტუდენტს კოტე ანდრონიკაშვილს და სოფიო უთმელიძეს ყოველივე უფლების ჩამორთმევა და გადასახლება, ილ. ამნაძეს 1½ წ. დაპატიმრება. სტუდენტი ორახელაშვილი გაამართლეს.

✦ **თავდასხმა.** 28 დეკემბერს დილით 12 საათზედ სომხის ბაზარში ვაჭარს გალუსტ არუთინოვს მაღაზიას თავს დაესხა 5 შეიარაღებული კაცი. უცნობებმა მაღაზიაში შეაგდეს რაღაც ნივთი, რომელმაც ძლიერ იფეთქა და თავზარი დასცა ყველას. ამას მიაყოლეს რევოლვერები. არც ყუმბარისა და არც რევოლვერებისაგან ვნება არავის მოსვლია. 20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, მადათოვის კუნძულზე რამდენიმე უცნობი წამოსწევია არუთინოვის შვილს მოსწავლეს რუბენს და ტყვედ წაუყვანიათ. 21 დეკემბერს დამატყვევებელთ მუქარის წერილი გაუგზავნიათ არუთინოვისათვის და შეუთვლიათ 5000 მან. გამოგზავნე, თორემ არც შვილს დაგანებებთ და შენც ცოცხალს არ გაგიშვებთო. არუთინოვს ყურადღება არ მიუქცევია და ამ გარემოებას გამოუწვევია თავდასხმა. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა 12 კაცი.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 28 დეკემბერს მიიღო გამგეობის დადგენილება, რომლის თანახმადაც გარდაცვალებულ მასწავლებლის ჩიჩინაძის მშობლებს სამი წლის განმავლობაში, ყოველ თვიურად მიეცემათ ოც-ოცი მანეთი. საბჭომ 200 მან. გადასდო მასწავლებლის მღ. იანქოშვილის ქვრივის სასარგებლოდ. განცხადება ხმ. ჰრელაშვილისა იმის შესახებ, თუ რა ღონის ძიებანი უნდა იქნას მიღებული დასაფასებელ გადასახადთა ნედოიმკების მოსაკრებად, საბჭომ გადასცა ნედოიმკო კომისიას. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა სანოვაგე კომისიის მოხსენებას პურის საწყობის მოწყობის შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ ქ. ა. ვერმიშევმა გააცნო საბჭოს მოხსენება სოფლიო ბაზრის მდგომარეობისა და შემოსავლის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდის მოუსავლობისა გამო მოსალოდნელია თან და თან გაძვირდეს პური, ამიტომ საჭიროა ქალაქის თვითმართველობა ეცადოს პურის საწყობის გამართვასო. საბჭომ კარგა ხანს ითათბირა ამ მოხსენების შესახებ და დაადგინა, დაევალოს გამგეობას, მოელაპარაკოს მსხვილ ფირმებს და შემდეგ შეიმუშაოს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საწყობი.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** გუშინ, 28 დეკემბერს, თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში მოხდა ამ საზოგადოების ჩვეულებრივი კრება. დამსწრეთ ბ-ნმა ექვ. თაყაიშვილმა მოკლეთ გააცნო ბანის ეკლესიის გეგმა (მე-IX საუკუნის ნაშთია). შემდეგ მოხსენება წაიკითხა არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია) „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ახალს ვარიანტზე, რომელიც არქიმანდრიტს აღმოუჩენია რაჭაში ჭელიშის მონასტრის ხელნაწერთა შორის. ეს ვარიანტი საისტორიო მეცნიერებისათვის დიდად მნიშვნელოვანი ნაშთია, რადგან მრავალ ისეთ ცნობას [illegible] ამავე ქრონიკის შატბერდისეულს ვარიანტში არ მოიპოვება, [illegible] ამ უკანასკნელში ზოგიერთი ფურცელი დაკარგულია.

✦ **საქმე ტერორისტულ აქტების შესახებ.** ოთხ იანვრისათვის ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე ალექსანდრე აფრიდონიძისა, ბართლომე შარუხიას, სერგო ნუცუბიძისა, ვანო შალამბერიძისა და ვასილ ნანობაშვილისა, რომელთაც აბრალებენ სხვა და სხვა ტერორისტულ აქტების ჩადენას. ესენი ერთი წელიწადია მეტეხის ციხეში სხედან. სასამართლოში ბრალდებულთ დაიცავს ნაფიცი ვექილი ა. მ. კლანკი. საქმე გაირჩევა ხალხის თანდასწრებით.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეს, 30 დეკემბერს, დილის 11 საათზე ნ. ს. დურნოვინი წაიკითხავს ლექციას მ. გორკიზე. პირველის ნახევრიდან დაიწყება იაფფასიანი რუსულ-ქართული კონცერტი. სხვათა შორის იმღერებს კუპლეტებს ქართულად ბ. გოცირიძე, სიმღერას „ვაივაის“ შეასრულებენ ადამიძე და საფაროვი. წაიკითხავს ლექსებს იმედაშვილი. იმღერებს ცხომელიძე. ფასი 20—10 კაპ. თეატრი გათბობილი იქნება. შემდეგი ინტერნაციონალური კონცერტი 13 იანვარს.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6—8 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსან. ბაღი), პროფ. ა. ხახანაშვილი წაიკითხავს მესამე და მეოთხე ლექციას ქართულ მწერლობის ისტორიაზე. შემდეგი ლექციები დანიშნულია 2, 3 და 4 იანვარს, საღამოს 6—8 საათისთვის იმავე კურსებზე. 5 იანვარს ალ. ხახანაშვილი დაბრუნდება მოსკოვს.

✦ **ალ. ხახანაშვილის გაძარცვა.** პროფ. ალ. ხახანაშვილი, მოსკოვიდან მომავალი, ტიხორეცკის სადგურზე გაუძარცვავთ უცნობ პირებს. ქურდებს წაუღიათ მისი ჩამადანი და ყველაფერი, რაც თანა ჰქონებია.

✦ **დაპატიმრება.** სურამში შეიპყრეს გიორგი წვერიაშვილი, რომელსაც აბრალებენ ბორჯომში ვაჭრის რომანოვის და მეტივის გიორგი სამხარაძის, ხოლო სურამში ვაჭრის ვლ. გძელოვის მოკვლას. ამ უკანასკნელის მოკვლის თაობაზედ [illegible]

# ფელეტონი

## ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

## IV

**ზნეობრივი ელემენტი ილიას ნაწერებში და გლეხთა ტიპები.**

(დასასრული *)

რაკი, ამნაირად, მგოსანმა არჩილისავე პირით აუხსნა და-ძმას, რატომ იყო მათი ნაბიჯი უშედეგო, იგი ამასთან ეძებს საზოგადოებრივ ელემენტებში იმისთანას, რომელსაც შეეძლოს ამ ორ მხარის შუა მდებარე უფსკრულის შევსება; შეეძლოს მდიდარისა და ღარიბის, გლეხისა და ნაბატონარის თუ მორიგება არა, ერთმანეთის გაგება მაინც. სიღრმავე უფსკრულისა, რასაკვირველია, აშკარასა ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ამ მიზნის მიღწევა ადვილი არ არის. თანახმად ამისა ადვილი არ არის იმათის ცდის ასრულება, ვინც ხალხში გასულა ხალხისავე საკეთილდღეო მოღვაწეობისთვის. ადვილი არ არის უმთავრესად კი იმ მიზეზით, რომ „ხალხში გასული ინტელეგენტი“ და ხალხი სულ სხვა და სხვა შემეცნების ადამიანები არიან, რომელთაც ერთმანეთისა ბევრი არა ესმითრა. იმდენად ძნელია ამ პირობებში მუშაობა, რომ როცა არჩილმა კესოს დაუხატა მთელი სირთულე ამ საქმისა და წინ გადაღობებულ დაბრკოლების დაძლევისა, კესო სასოწარკვეთილებას მიეცა, იგი მოიცვა უიმედობამ. ირჩილსაც, რასაკვირველია, აშინებდა თვის მიერ დახატული სურათი გლეხთა და ინტელლიგენტ ნაბატონართა ერთმანეთის გაუგებრობისა, მაგრამ რაკი მიჰხვდა ამნაირ მოვლენის მიზეზს, რაკი დასაც შეაგნებინა ეს მიზეზი, უფრო იმედი მიეცა. სასოწარკვეთილების მაგიერ იგი ამხნევებს დას და ეუბნება, რომ არჩეულ გზაზედ მუშაობისთვის წინად მათ აკლდა ის, რაც ეხლა ცხოვრებამ შეაგნებინა. შეიგნეს სახელდობრ ის, რომ პსიხიური ბუნება მათი და გლეხთა სხვა და სხვა ნიადაგზეა აშენებული, რომ გლეხნი უფრო სწორედ არიან მიხვედრილნი ნაბატონართა პსიხოლოგიას, ვიდრე თვით მებატონენი. ძმა ამბობს კიდეც, რომ ამისი შეგნება დიდი იარაღია ჩვენს ხელში; იმის წყალობით ჩვენ შეგვეძლება უფრო გარკვეულად ვიმუშაოთ ხალხშიო.

ალეგორიულად არჩილი ასე ასურათხატებს ამ მომავალს:

„ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს... ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს... ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, შუქია წინასი და შუქი ხომ“... „დღსაწყისია განთიადისა, განა ჩემო კარგო“ (ჩამოართმევს სიტყვას მიმხვდარი გახარებული კესო).

ამნაირად, მგოსნის აზრით, საჭიროა ორი რამ იმისთვის, ვისაც ჰსურს მოღვაწეობა „ხალხში“ და ამ ხალხის წრიდან-კი არ არის. ჯერ ერთი მას უნდა ჰქონდეს სურვილი და ამასთან „სინანულიანი სურვილი“, ესე იგი სინანული იმის გამო, რომ იგი ცხოვრებით წინაა წამოყენებული მაშინ, როდესაც სხვანი უკან არიან ჩამორჩენილნი. სინანული იმის გამო, რომ მას არ შეეძლო ამ დანარჩენთა, ჩამორჩენილთა და ჩაგრულთა გაგება და წარსულში, სანამ იგი მიჰხვდებოდა ამ გაუგებრობის მიზეზს, ნება-უნებურად ისევე ექცეოდა „ჩაგრულთ“ და „ჩამორჩენილთ“, როგორც სხვანი, ვისაც ეს სურვილი ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა გულში არც კი გაუტარებია. მეორე თვისება, რომელიც უნდა ჰქონდეს კაცს „ხალხში“ სამოღვაწეოდ, ის უნდა იყოს, რომ, გარდა სურვილისა და სინანულისა თვის წარსულის გამო, მან უნდა შეიგნოს ძირითადი მიზეზი მისა და ხალხის გაუგებრობისა. ეს სხვა და სხვაობა აშენებულია ეკონომიურ და სოციალურ აგებულებების სხვადასხვაობაზედ. რასაკვირველია, ამის დარღვევა ადამიანისათვის არც ისე ადვილია, რომ ერთს თაობას შეეძლოს იგი. მაგრამ, მგოსანს ჰგონია, რომ შეგნება ამ სხვა-და-სხვაობისა და ამისდა შესაფერად ერთმანეთის გაგება უფრო გააადვილებს „ხალხში“ მოღვაწეობას, უფრო გაანაყოფიერებს უკანასკნელს და დაუახლოვებს „მოღვაწეებს“ თავს მიზანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სურვილს თან არა სდევს შეგნება და შესწავლა ჩაგრულ და ჩამორჩენილ ხალხის პსიხოლოგიისა, თვით მუშაობაც უნაყოფოა და თავის მოტყუება იქნება.

ამნაირად მოარიგა მგოსანმა თავის პირველ ხანს შემუშავებული ზნეობრივი შემეცნება. ხალხის შესწავლამ, გლეხთა პსიხოლოგიის გათვალისწინებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ზნეობრივ ნორმების უმეტეს ნაწილს აქვს წოდებრობის დაღი, რომ შეუძლებელია სიყვარულის ქადაგება იქ, სადაც ერთი სჩაგრავს მეორეს, სადაც ერთის ბუნება ისეა აგებული, რომ თვით ზნეობრივი წარმოდგენაც თავისდა სასარგებლოდ შეუქმნია. აქ, რასაკვირველია, ვერ მოთავსდება ორი წოდება, ორი სხვა სხვა ქვეყანა, სხვა და სხვა ზნეობრივი რწმენა და შემეცნება... მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამის შეგნებამ არ მიიყვანა მგოსანი ზნეობრივ პრინციპის სავსებით უარყოფამდე, რომ მათაც-კი, ვისაც უფრო მეტი ეგოისტური ელემენტი შეაქვთ თავიანთ ზნეობრივ შემეცნებაში, შეუძლიანთ ზნეობრივ მოიქცნენ, თუ კი გაიგებენ თავიანთ ზნეობრივ რწმენის ცალ მხრივობას და კერძოობას...

ერთის სიტყვით, ჭავჭავაძემ ზნეობა არ უარ-ჰყო, არამედ გააფართოვა და საზოგადო საკაცობრიო ელფერი მისცა. იმის აზრით, ზნეობა უნდა შესაფერად გადასხვაფერდეს, გაფართოვდეს.

უკვე ვნახეთ, რომ თვით მგოსანმა განიცადა ამისთანა ცვალებადობა: პირველში ბუნდოვანად დასახული ზნეობრივი შემეცნება შემდეგ გაერკვია; მან ცხოვრების დაკვირვებით აღმოაჩინა წოდებრივი ელემენტები ჩვენს ზნეობრივ შემეცნებაში. კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ადვილად მივხვდებით, რომ ამ ცვლილებას უნდა მოჰყოლოდა გადასინჯვა მგოსნის მიერ ზნეობრივ ნორმებისა, ასეც მოხდა. მისი „დამაკვირდი“ ნაყოფია სწორედ ამნაირ მუშაობისა, იგი შედეგია იმ ცვალებადობისა, რომელიც მოხდა მგოსნის შემეცნებაში გლეხთა ფსიხოლოგიის შესწავლით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ილია თავის საუკეთესო დამაკვირდის სწერს სწორედ იმ კილოთი და სიტყვებით, რომელსაც ხმარობენ თვით გლეხნი. შინარსი-კი, რასაკვირველია, უდებს თვის დასკვნას. ამიტომ აქვს მგოსნის „დამაკვირდი“-ს მისი ფილოსოფიისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობა.

ამ ზნეობრივ შემეცნებაში, რასაკვირველია, დარჩა ბევრი რამ ისეთი, რაც მოიპოვებოდა ილიას სტუდენტობის დროის დაწერილ რჩევაში. მაგალითად, იგი კვლავ ურჩევს ყველას, რომ მისი მისწრაფება იყოს სხვისადმი შველა, საზოგადო კეთილ დღეობა.

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

ან კიდევ:

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობა სთქვას!
ნანერგითა შენით მარგე.

ამნაირად, საზოგადო კეთილ დღეობაა უმთავრესი მიზანი, რომლისათვისაც უნდა სცხოვრობდეს და იღვწოდეს ადამიანი. მაგრამ რით შეიძლება ამ მიზნის განხორციელება, რა ძალას აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა? როგორც ვიცით, არსებობს ორ გვარი ძალა, ერთი ასე ვთქვათ თავდამსხმელი ძალაა, რომელიც იმას კი არ ჰგრძნობს მარტო, რომ დაიცვას თავის თავი, არამედ სხვაც დაიმორჩილოს; მეორე კი იმითი კმაყოფილდება, რომ არ მისცეს სხვა, გარეშე ძალას თავის დაჩაგვრის ნება. არ ვიცით, რად, მაგრამ ჩვენს მგოსანს მოსწონს არა პირველი, მეომარი ძალა, არამედ ძალა, რომელიც უფრო ფარსა ჰგავს, ვიდრე ხმალსა. ნამდვილად კი ცხოვრებაში ორივე ძალაა საჭირო. საქმე აქ მხოლოდ ის არის, თუ რა მიზანს ემსახურება ძალა. თორემ თუ მიზანი კარგადაა დასახული, იქ საჭიროა არა მარტო პასსიური, აქტიური ძალაც. [illegible] მგოსნის ასეთი მიდრეკილება პასსიურ ძალისადმი [illegible] დროს აიხსნება იმ ცვლილებით, რომელიც მასში მოხდა თან და თან და რომელმაც დაჰბადა ის რწმენა, რომ ძალ-მომრეობით წოდებათა და, საზოგადოდ, უთანასწორობის გარდაქმნა შეუძლებელია, რომ აქ საკითხი უფრო ღრმაა. ამას, რასაკვირველია, ისიც ზედ ემატება, რომ ჩვენში მეომარი და, ხშირად მხეცურად მეომარი ძალა იყო გამეფებული. იგი ურჩევს:

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.

მას მოსწონს არა მეომარი, არამედ ის, ვინც ჩაგრულს იფარავს:

არა, არ ვუქებ, ვაჟ-კაცსა
კაცთა მუსვრას და ომსაო;
ვაჟკაც გია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,

*) იხ, „ისარი“ № 286.

შეიპყრეს აგრეთვე სურამში გექტორ ებანოიძე, ბერუჩ ხელაძე, კლიმენტი სალაკაძე, დავით ჯანელიძე და ნიკ. ტატიშვილი.

◆ **საარქეოლოგიო საზოგადოებაში.** დღეს, 30 დეკემბერს, საჯარო წიგნთ-საცავში მოხდება კრება საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. მას ჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქსნის სახარების შესახებ.

◆ ხულიგანობა დღითი-დღე ფეხს იკიდებს ტფილისში. დაბინდების შემდეგ კაცს ქუჩაში ადარცვი გაუვლებ. 28 დეკემბერს, 7 საათზე, გოგოლის ქუჩით მიმავალ ქ-ნი დოდაევისა, დახვდნენ ვიღაც მალაკნები, რევოლვერი მოუღერებიათ და დაუძახიათ, ფაჩერდით; მაგრამ დოდაევისა არ გაჩერებულა და დასხლეტია ხელიდან ხულიგნებს. ამის შემდეგ იქვე გაუვლია ორ მანდილოსანს. მალაკნები ამათაც დახვედრიან და ისე შეუშინებიათ, რომ ტირილი დაუწყიათ.

◆ 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, რიყეზედ ხოსროევის ქარვასლაში მოთავსებულ ყაზარიანცის საკომისიონერო კანტორაში შევარდნილა სამი შეარაღებული კაცი. უცნობთ კასიდან მოუტაცნიათ 780 მან. ოქროს ნივთები,

28 დეკემბერს დააპატიმრეს ივანე ზარიძე, რომელსაც ცხენი მოეპარა ივანე ჯანგულაშვილისთვის. დაპატიმრებული მეტეხის ციხეში მისცეს,

◆ ავჭალის ქუჩაზე გუშინ 29 დეკემბერს, პოლკოვნიკ ს. ერისთავისთვის მოუპარავთ 300 მან. დააპატიმრეს მსახური.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

◆ მრეწველთა საბჭომ, თანახმად იმ კომისიის წინადადებისა, რომელსაც მინდობილი აქვს საბჭოს მოსამსახურეთა შტატის გადახედვა, გადასწყვიტა, მესადილეთა სიმცირის გამო, შეაჩეროს ჰიკლოურის იაფ სასადილოს მოქმედება.

◆ 21 დეკემბერს კნ. ან. წერეთლის თაოსნობით გაიმართა საქველმოქმედო საღამო, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს ქართულ გიმნაზიის ულარიბეს მოსწავლეთ, ხალხი მრავალი დაესწრო. შემოსავალი როგორც ამბობენ, 1000 მანეთს აღემატება.

◆ რკინის გზის რაიონის გეითალმა მანუვანოვსკიმ სახელმწიფო გადასახადი დააწესა იმ ტყავებზე, რომელიც ქუთაისიდან რკინის გზით იგზავნება, თუმცა ამისი უფლება მას არა აქვს. საინტერესოა ვიცოდეთ, რით ხელმძღვანელობს ბ-ნი მანუვანოვსკი, როცა ასეთ გადასახადს აწესებს.

◆ ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ხარჯთ აღრიცხვა, 20 დეკემბერს არ შესდგა, ხოლო მეორე სხდომაზე საბჭომ მოასწრო განხილვა მოსალოდნელ შემოსავლისა. თვალ-საჩინო ცვლილება გამგეობის პროექტში საბჭოს არ შეუტანია. ცვლილება შეეხო შემდეგ საგნებს: ა) სასკოლო კომისიის წინადადებით, სწავლის ფული მოსწავლეთაგან უნდა შენახულიყო ცალკე ფონდად და ქალთა სასწავლებელში ამ ფონდის გასაძლიერებლად უნდა დაწესებულიყო სწავლის ფასი. უკანასკნელი წინადადება კომისიისა საბჭომ შეიწყნარა, ხოლო ფონდის დაარსება მეტად სცნო; ბ) გამგეობის პროექტით თეატრის შემოსავალი უდრიდა 6500 მანეთს; სათეატრო კომისიის წევრთა წინადადებით, საბჭომ შემოსავლად თეატრიდან ივარაუდა 9800 მანეთი და გ) აფთიაქის შემოსავლად ხარჯთ-აღრიცხვაში საბჭომ შეიტანა 32 ათასი მანეთი. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქალაქის აფთიაქის შესახებ ხმა დადის, ვითომ მიმდინარე წლის შემოსავალი უდრიდეს სულ 2,000 მანეთს. ნამდვილად-კი შემოსავალი 11,000 მანეთს აღემატება თურმე.

◆ კავშირთა და საზოგადოებათა საკრებულომ დაამტკიცა ქუთაისის ვაჭართა პროფესიონალური კავშირი. წევრები ამ დღეებში შეიკრიბებიან გამგეობის კაცთა ასარჩევად.

◆ ცარცვა-გლეჯა დღითი-დღე მატულობს. სულ რამდენიმე დღის განმავლობაში გასცარცვეს: ხაზინადარი და წაართვეს 200 მანეთზე მეტი; სამეურნეო სასწავლებლის გამგე მარმაშიძე, როცა ჯამაგირები მიჰქონდა ქალაქიდან ფერმაში; ვაჭარი არჯევანიძე, რომელიც მაგრა დახვდომია მძარცველებს და რევოლვერი უსროლია მათთვის. რევოლვერის სროლამ ვაჭრების მიერ დაყენებულ სტრაჟნიკთა შორის დიდი სროლა გამოიწვია; კაცს ეგონებოდა, ქალაქს მტერი შემოესიაო. გაძარცულთა რიცხვი იმდენია, რომ მათი ჩამოთვლა არც მაგრე ადვილი საქმეა.

◆ ტფილისიდან მოსულის ცნობებით, დებულება თავად-აზნაურთა სტიპენდიების შესახებ ნამესტნიკის მიერ შეწყნარებული იქნება იმ ცვლილებით, რომ საზღვარ გარედ მოსწავლე ახალ-გაზრდობას სტიპენდია არ დაენიშნება.

◆ 4 იანვარს სენატში გაირჩევა ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის თ-დ ს. გ. წერეთლის საქმე, რომელიც გამოიწვია სამეგრელოს თავად-აზნაურთა უფლებების გამორკვევამ.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ს. დვანი** (ფრონის ხეობა). რეაქციის სიძლიერემ და გადაჭარბებულმა უსამართლობამ ფეხზე დააყენა სიბნელის მოტრფიალენი. წინად თუ „ერთობას" გაიძახოდნენ ზოგიერთი ყაჩაღ-ბატონები და ძმობას ეფიცებოდნენ მშრომელ ხალხს, დღეს დაუძინებელი მტრები გახდნენ „ძმობა-ერთობისა". ვინ არ გინდა, რომ ეხლა გაძვალტყავებულ გლეხს არა სცემდეს მათრახს სულ უბრალო მიზეზით. მაგალითად, როდესაც ახალმოდის მამასახლისი მობძანდება სოფელში თავის ამალით, ის-სტრაჟნიკებით, ვაი სოფლის ბრალი, თუ კარგად არ გაუმასპინძლდება ცოცხალ ქათმებით და წითელი ღვინით! დაუვლიან სოფელს ერთგული სტრაჟნიკები და ერთ ადლიანი სტეხენ: ვის ღვინოს გამოატანინებენ, ვის ქათმებს, ვის ყველს, როცა მოაგროვებენ ნადავლს, მოიღერებს ყელს ბ-ნი წუნარის მამასახლისი, თავის ერთგულ ნაცვალ-სტრაჟნიკებით და მიეცემა ქეიფ-დროს გატარებას და კარგად შეზარხოშებული გაუდგება გზას. სოფელი დვანი მიწერილია წუნარის საზოგადოებაზე და მამასახლისიც წუნარელია. კანცელარია წუნარშია, და სულ უბრალო საქმისათვის ფეხები აქვთ გაცვეთილი აქაურ გლეხებს იქ სიარულისაგან, რომელიც ექვსი-შვიდი ვერსით იქნება დაშორებული სოფ. დვანზე.

სხვათა შორის ჩვენსკენაც იჩინა თავი უჯამობელმა შიმშილმა. ბევრს გაზაფხულამდის არ შეჰყვება სარჩო და არიან ერთ [illegible] ჩავარდნილნი ადამიანთან ერთად პირუტყვ საქონელსაც შიმშილი მოელის, რადგან ბზე ძლიერ ნაკლები მოვიდა. გოდორი ბზე თითქმის ოქროს ფასად გახდა. ზოგი თავის მარჩენალ საქონელს ნახევ ფასად ჰყიდის, რომ ამ ზამთარ შიმშილით არ დაეხოცოს. აი ამ ბზის სიძვირეში, გიორგობისთვის გასულს წუნარის მამასახლისმა შეატყობინა ს. დვანის „შოშონებს": ბოქაულისაგან ნაბძანები მაქვს, თითო გოდორი ბზე უნდა შეკრიბოთ კომლზედ, ვისაც რამდენი შეუძლიან და ცხინვალში გადმომიტანოთო. მაგრამ აქაურმა „შოშონიკმა" შაქრო ქრისტესიაშვილმა მამასახლისის ნაბრძანებს გადააჭარბა. ვინც კი ცოტა პატარა გოდრით მიიტანა ბზე, ამოუგრა წიხლი ამ ყაჩაღბატონმა და სულ გადაუდგა ტალახში, სამაგიეროდ სხვა მოატანინა. ისეა აქაური ნაცვალი თავ-წასული, რომ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ჩვენ სოფელში შეუდგნენ მამასახლისის ფულის მოკრებას კომლზე 1 მ. 80 კ. და ნაცვალმა მამასახლისის ფულთან ერთად თავის ნებით 10 კ. მეტი აკრიბა კომლზე თავის ჯიბის სასარგებლოდ; ჯერ პირველია ჩვენში ნაცვალის ამისთანა თავ-გასულობა. კარგი იქნება ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, ამისთანა თავ-გასულ ყაჩ-ბატონს.

აქეთკენ მემამულეებმა ისევ ძველებურად მამა-პაპურად აკრიბეს დალები.

**ქართლელი.**

### კრება ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად
(წერილი მოსკოვიდან)

20 დეკემბერს მოსკოვში, სალიტერატურო დარბაზში, ხელმოკლე ქართველთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის ინიციატორობით გაიმართა საზოგადო კრება განსვენებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახელის პატივსაცემად. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ ბარათებით როგორც ქართველნი, ისე სხვა ტომის ხალხიც; სულ ორასამდე ქალი და კაცი იქნებოდა. დარბაზში ეკიდა ილიას სურათი. კრების გახსნის უმალ საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. პირველი სიტყვა წარმოსთქვა გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ალექსანდრე სუმბათაშვილმა (იუჟინი). მან მოკლე და გრძნობიერ სიტყვაში გაუზიარა საზოგადოებას საკუთარი მოგონებანი ილიას შესახებ. აღნიშნა, სხვათა შორის, ორი მომენტი იმის ცხოვრებიდან: პირველი, როდესაც სუმბათაშვილი, ჯერ ისევ მოწაფე, დაიარებოდა ილიასთან და ესაუბრებოდა თანამედროვე საზოგადოებრივ საკითხებზე; მეორე კი—როდესაც სუმბათაშვილი შეხვდა 40 წლის შემდეგ გაჭაღარავებულ, უკვე მოხუც ილიას. შეადარა ორი მომენტი და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ილია ჭავჭავაძეს ისეთივე სულიერი სიძლიერე ეტყობოდა სიბერის დროს, როგორიც ჰქონდა სიჭაბუკისას.

შემდეგ საზოგადოების წევრმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა თავის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ამას მოჰყვა შალიკო ქარუმიძის მოხსენება სათაურით: „ქართველი გლეხი" ილიას თხზულებებში. მან მოკლედ აღნიშნა, თუ რა ადგილი ეჭირა ჩვენს გლეხს ჩვენს სამშობლო მწერლობაში. შეაჩერა მსმენელთა ყურადღება დანიელ ჭონქაძის დროზე და ხალხურ პოეზიაზე; დაასკვნა, რა შეიტანა ამ ლიტერატურულ დარგში ქართულმა მწერლობამ, ეგრედ წოდებულ ი. ჭავჭავაძის ხანას და შემდეგ გადავიდა თვით მოხსენების შინაარსზედ. გაარჩია უმთავრესი ტიპები ილიას თხზულებებში, მათი მნიშვნელობა, როგორც გამხორციელებელი ქართველ გლეხის სულიერ ლტოლვილების და მისწრაფებისა, და დაასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძე პირველი მგოსანია ქართულ ცხოვრების ხინამდვილის აღნიშვნაში.

ამის შემდეგ წაიკითხეს რუსულად და ქართულად ლექსები: რუსულად (თხორჟევსკის ნათარგმნი) ბ. ა. ი—ძე სუმბათაშვილმა შემდეგი ლექსები: „არაგვი", „პოეტი" და „ყვარლის მთებს". ქართულად შალიკო ნათაძემ: „გუთნის დედა" და პირველი სურათი „აჩრდილიდან".

ბოლოს წაიკითხეს წერილები და დეპეშები სხვა და სხვა პირთაგან. საყურადღებო იყო მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის მანუილოვის და პრივატ-დოცენტის საკულინის წერილები. დასასრულ საზოგადოებამ ხელმეორედ ფეხზე ადგომით და ტაშის კვრით პატივი სცა ილიას ხსოვნას.

**მიხეილ თუხარელი.**

## მუშების ცხოვრება

—

**დურგალთა პროფესსიონალური კავშირი.** გაზეთ „წყაროს" მე-35 ნომერში მოთავსებული მიშა ალალის წერილი, რომელიც შეეხებოდა კერძოდ ჩვენს ამხანაგს შაქრო კოკილოვს და საერთოდ ჩვენს კავშირს, სიმართლეს მოკლებულია. ტყუილია, ვითომ ჩვენს კავშირს 5 ამხანაგი შეადგენდეს და ისინიც „რიადჩიკები" იყვნენ. ტყუილია აგრეთვე ის, ვითომ პროფესსიონალურ ტყავში გახვეულნი ჩვენ ხალხს ტყავს ვაძრობდეთ. საკვირველია, რად დასჭირდა მიშა ალალს ამისთანა ცილის წამება. თუ იგი ჩვენ კავშირს იცნობს, კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ხუთი, ან ექვსი ამხანაგი კი არა, რატომ ხუთჯერ ოცი არ ვიქნებით; ვინც ჩვენ გვიყურებს, ყველა კარგად ჰხედავს, რომ ჩვენ [illegible] მელი ამხანაგი; ჩვენ [illegible] რულებთ დღიურ [illegible] საქმეს ურთიერთ დახმარებით განსაზღვრულ ფასში და განსაზღვრულ სამუშაო დღით. ჩვენ, დურგალთა პროფესსიონალური კავშირი, მოვითხოვთ მიშა ალალისაგან, გამოჰყვეს სამედიატორო სამართალში ჩვენს ამხანაგს შაქრო კოკილოვს და დაუმტკიცოს, ის ცილის წამება, რომელიც გამოაქვეყნა „წყაროს" ფურცლებზე. ჩვენ ვიცით, ჩვენმა ამხანაგმა შაქრომ გაზეთ „ისრის" 274 ნომერში გამოიწვია მიშა ალალი სამედიატორო სამართალში და ვადათ ერთი კვირა დაუდო, მაგრამ მიშა ალალიმ ხმა არ ამოიღო. არ შეიძლება, ენაზე გვეკეროს „პატიოსნება და სიმართლე" თხუნელასავით მიწაში-კი ძვრებოდე. ჩვენი ამხანაგი შაქრო, აგიწერდათ რა მუშაობის ვადას, გირჩევდათ თითებზე დაგეთვალათ საათები; რით ვერ დაითვალეთ ამოდენ ხანში, მიშა ალალო, რომ ფარდა აგეხსნათ და სამედიატორო სამართალს გამოეყვანეთ ან შენი ცილის წამება და ან შეცდომა. მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, რომ თქვენ, ვაჟბატონო, გაგიზრახეთ მალულად ჩვენი პროფესსის მუშებს, რომელნიც ჯერ კავშირში არ შემოსულან, გული გაუტეხოთ კავშირზე და ამნაირად შეცდომაში შეიყვანოთ. ჩვენ, დურგალთა პროფესსიონალური კავშირი, კიდევ მოვითხოვთ თქვენგან, მიშა ალალო, ან უარჰყოთ გაზეთის საშუალებით თქვენი მოჩმახული ცილის წამება და ან გაჰყევი ჩვენს ამხანაგს შაქროს სამედიატორო სამართალში, სადაც ფარდა აეხდება თქვენს მოქმედებას. შეიძლება ფიქრობთ, დამალვით მოახერხოთ ცილის წამების გავრცელება; სცდებით: ჩვენ მოვნახავთ საშუალებას, რომ სიმართლე გამოვარკვიოთ.

დურგალთა პროფესსიონალურ კავშირის მონდობილობით **გიორგი მარიამაშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**საბავშვო კონცერტი.** 26 დეკემბერს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში გაიმართა ყველასათვის ხელ-მისაწვდენი კონცერტი. ვიოლონჩელზე დაუკრა ბ-ნმა ცედლერმა, იმღერეს ქ-ნთ ივანოვიხამ, გორალევიჩმა, ცხომელიძემ, რომელმაც დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია. მომღერალს რამდენჯერმე გაამეორებინეს სიმღერები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ კაპანაკოვის მიერ საუცხოვოდ წაკითხულმა ლექსებმა.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო როგორც ორიგინალობით, ისე შესრულების მხრივ იყო ორი საბავშვო სიმფონია, ბავშების მიერ შესრულებული ბ-ნ გონსიორსკის დირიჟორობით.

საბავშო სიმფონია პირველად დასწერა ცნობილმა კომპოზიტორმა ი. ჰაიდნმა ბავარიის ქ. ბერტჰოლც-გადენში, სადაც ამზადებენ ბავშვების სათამაშოებს. იმის მაგალითს მიჰბაძეს სხვა კომპოზიტორებმაც, როგორც რომბერგმა, ხვატალმა, ჟილენბერგმა და სხ. ჰაიდნს აზრად ჰქონდა ესიამოვნებინა ბავშები და გაეხსნა მათში სიყვარული მუსიკისადმი. გერმანიაში ეხლა საბავშო სიმფონია ძლიერ არის გავრცელებული.

26 დეკემბრის კონცერტზე ბ-ნმა გონსიორსკიმ ბავშებს შეასრულებინა ორი სიმფონია, ერთი თხუზულება ჰაიდნისა. ფორტეპიანოს, სკრიპკის და ფლეიტის აკომპანიმენტით უკრავდა 8 ბავშვი სხვა და სხვა სათამაშოზე. საყვირზე, გუგულზე, მწყერზე, ბულბულზე, სარაკუნებელზე, დოლზე, დაირაზე და სამკუთხეზე. ყველა ეს სათამაშო იარაღი ფორტეპიანოს ხმაზეა შეწყობილი. სიმფონიაში მსმენელს დრო გამოშვებით ესმის ბულბულის რაკრაკი, გუგულის „გუგუ" და მწყერის ნელი სტვენა.

მეორე სიმფონია ხვატალისა ცოცხალი ილიუსტრაციაა ბავშვების გასეირნებისა ზამთარში მარხილებით ქალაქ გარედ. აი უმთავრესი მომენტები: 1. ნიშანი წასასვლელად; მარხილები დაიძრნენ; 2. მგზავრები კარგ გუნებაზე არიან, ისმის მარხილების თოვლ-ყინვაზე ხახუნი, ეტლის ჟღარუნი, მათრახების ტკაცუნი; 3. ქალაქ გარედ სასტუმროში სტუმრებს გულიანად უხვდებიან; 4. სასტუმროში შეყვარებული ქალ-ვაჟი ერთმანეთს გრძნობიერად ემუსაიფება; 5. იწყება ცეკვა-თამაში, თამაშობენ ვალსსა; 6. ყმაწვილები თან და თან მხიარულდებიან, ისმის ჭიქების წკრიალი; 7. ნიშანი უკან დაბრუნებისა: ისმის კვლავ მარხილების ხახუნი, მათრახის ტკაცუნი, ეტლების ჟღარუნი. ბრუნდებიან ქალაქში და მხიარულნი სახლებისკენ იფანტებიან.

ორივე სიმფონია შეასრულეს ბავშვებმა შეწყობილად. კარგი სანახავნი იყვნენ ბაწიები, რომელნიც დიდის დაკვირებით და გულ მოდგინეობით თვალ-ყურს ადევნებდნენ დირიჟორის ჯოხს, ანგარიშობდნენ პაუზებს და დროზე იწყებდნენ. მადლობის ღირსია ბ-ნი განსიორსკი, რომელმაც არა ერთი და ორი საათი მოანდომა ბავშების მომზადებას და საუცხოოდ მეწყობილი სიმფონია გააგონა საზოგადოებას.

**დამსწრე.**

---

ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგას ლომსაო.

ამისი ქმნა კი, საზოგადოდ, ჩაგრულთა ბედის გაუმჯობესობა კალამს, ესე იგი კულტურულ ძალას უფრო ძალუძს, ვიდრე მეომარ ძალას. იგი ამბობს:

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

თვით შურის ძიებასაც მგოსანი ურჩევს არა ძალით, არამედ სიკეთით.

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს,
ვაჟკაცობითა ძლევასა.

მგოსანი ამბობს, რომ საზოგადო ცხოვრებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა მეომარ ძალას, არამედ ლმობიერობის გზას. ყოველივე ეს მაჩვენებელია მგოსნის ჰუმანიურ მიმართულებისა. ადარებს რა ხმლისა და ნემსის მნიშვნელობას, მგოსანი დასკვნის, რომ

შუბი დიდი და მძლავრია
სისხლ-მსმელ, სისხლის მღვრელია,
წყნარი, პაწია ნემსი-კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია.

ან კიდევ ადარებს რა ქველ-მოქმედურ გრძნობას ვაჟკაცობის გრძნობასთან, იგი ამბობს, რომ:

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთა მხსნელია.

საზოგადოდ მგოსანს მოსწონს უფრო გულის კულტი, ვიდრე ჭკუისა, თვით ცრემლიც კი იმისთვის სასიამოვნო მოვლენაა:

ვაჟკაცთ ცრემლს რად უძრახვენ,
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი.

მგოსანს სწამს, რომ გული ის ელემენტი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელმაც უნდა შეარიგოს ორი მოქიშპე ძალა ადამიანისა—ეგოისტური და ალტრუისტული, რომ გულმა უნდა გადასწყვიტოს ის, რაც შეადგენს კაცობრიობის უმთავრეს საკითხს—სოციალური უთანასწორობა. ჭკუა, მისის წარმოდგენით, ის ძალაა, რომელსაც ცხოვრება წინ მიჰყავს, მაგრამ რომელიც, სხვათა შორის, ცხოვრებას ნებას აძლევს ძლიერის მიერ უძლურის დაჩაგვრისას. თუ ჭკუას გულიც არ მიემატა მაშველ ძალად, მაშინ უთანასწორობა უფრო ძლიერი იქნება.

აი როგორ ადარებს იგი ამ ორ ძალას:

ჭკუამ სთქვა: წუთი სოფელსა
აღმართი მე ვახნევინე,
თესლი მოვკრიბე დახნულში
დავთესე, დავაბნევინე,
უღონოს ღონე მე მივეც,
ხელი მე გავაქნევინე.
გულმა სთქვა: «ჭკუავ მართალ ხარ
და ზოგიც მე მათქმევინე:
შენი ნახნავის გორახი,
ფარცხით მე მომაფშვნეტინებ;
ნაგოლვი, მშრალი ბელტები
ცრემლით მე მომარწყვეინე;
შენი ნათესი, ნანერგი
სისხლის ღვრით გამაზრდევინე;
შენსა ჯეჯილში ყანაში
ღვარძლი მე ამარჩევინე;
ნაამაგარი ძნად შევკარ,
ზვინად მე დავალაგმევინე...
**ვგონებ, რომ ერგოს ყველას ხწორად**
**და შენ ეს ვერ გაქნევინე,—**
არ იქნა, ჭკუავ, მადლის გზა
მე შენ ვერ დაგაქნევინე.

ამნაირად, თუ ჭკუამ კაცობრიობას უნდა საშუალება მისცეს ქვეყნის აშენებისა და წინსვლისა, გულმა-კი უნდა შეიტანოს მასში ელემენტი სოციალურ გათანასწორებისა. ასეთი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში ამ ორ ძალას, და აშკარაა, რომ ერთის წინ წამოყენება და მეორეს ჩამორჩენა მავნებელია. სასურველია მათი ჰარმონიული შეერთება. რადგან გული—მადლის მატარებელია, ხოლო მადლს კი დღესდღეობით არა აქვს შესაფერი პატივი და გასავალი. მგოსანი სჩივის რომ:

მადლმა სთქვა: წუთის სოფელში
ყოფნა ვაი რა ძნელია:
ძალი ძალოვნობს, ჰბატონობს,
მე გული გადამელია:
სადაც კი შევხვდი, დამძლია,
ვერ შევუბრუნე ხელია:
მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა
ძალა აღმართის მხვნელია.

ამ რიგად ბოროტი ძალა მუდამ ჭკვიანია, იგი ხერხით და საქმის ცოდნით მუდამ სძლევს იმას, ვისაც ესენი აკლია. და ასე რომ გვეარა, სასოწარკვეთილების მეტი არ დაგვრჩებოდა რა. მგოსანს სწამს, რომ თუმცა ძნელია ბოროტის ძლევა, თუმცა ძნელია ჭკუის ეგოისტურ მისწრაფებათა შეთანხმება ალტრუისტულ მისწრაფებათან, მაგრამ მაინც იმედია, რომ ბოლოს კეთილი სძლევს ბოროტს, რომ თვით ქვეყანა ამისკენ მიისწრაფვის. იგი ამბობს:

წუთი სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია.

მაშასადამე, ჭავჭავაძის აზრით, სიყვარულია ის ძალა, რომელიც აშენებს კაცობრიობის კეთილ დღეობას, რომელიც სძლევს ბოროტს ძალას და რომელიც შეარიგებს ეგოისტურ და ალტრუისტულ გრძნობებს.

ასეთის ყოვლის შემრიგებელის და შემწყნარებელის და ყოველთა მპატიებლის გრძნობის გამოთქმით ათავებს მგოსანი თავის მსოფლიო შეხედულების დახასიათებას. საქმე თავდება გამარჯვებით სიკეთის რწმენისა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს გამარჯვება მგოსნის გულში ნაყოფი იყო დიდი ხნის ბრძოლისა „ჰოს" და „არასი", მივხვდებით იმასაც, თუ რად აკლია ამ გრძნობას აღფრთოვანებითი კილო. აშკარაა, რომ მადლს არც ისეთი დიდი გასავალი აქვს ჯერ, რომ მგოსანი აღტაცებაში მოსულიყო.

**გიორგი ჯავახიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ბელიაშვილი

## კალენდარი

„ნაკადულის" გამოცემა, იყიდება „ნაკადულის" რედაქციასა და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში." (2—1)

---

**მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ გაზეთ**

## „ახალი ქვეყანა"-ზე

**გაზეთი ემსახურება პროფესიონალურ მოძრაობის ინტერესებს**

**გაზეთი ღირს ტფილისში:** წლით თორმეტი აბაზი (2 მან. 40 კ.), ნახევარი წლით ექვსი აბაზი (1 მ. 20 კ.), სამი თვით სამი აბაზი (60 კ.) ერთი ნომერი ტფილისში შაური. ნომერი პროვინციაში ექვსი კაპეიკი. **პროვინციაში:** წლით სამი მანეთი; ნახევარი წლით—მანეთნახევარი; სამი თვით 75 კ. ფასი ტფილისში 5 კ. პროვინციაში 6 კ.

**ხელის მოწერა მიიღება ჯერ ჯერობით შემდეგ პირებთან:**

**ტფილისში:** ვარლამ იაშვილთან, ოლგის ქუჩა ვოდოპროვოდის სახელოსნო. იოსებ გონენაშვილთან, ანტონიევის ქუჩა № 17. დათიკო ჭელიძესთან, ვახქას ქუჩა, ამხ. სტამბა ნესტორ სულაძესთან, ბაიაზეთის ქუჩა № 3. იოსებ გიორგობიანთან, მიხეილ. პროსპექტი რიჩჩის მარმა. სახელოსნოში. პეტრე ბებეჭკორთან, სოლოლაკი გრეგუარის საპარიკმახ. არჩილ ებრალიძესთან, კიროჩნი ქუჩა № 29. მიხა ორმოცაძესთან, გოგოლის ქუჩა, „კახეთის" კანტორაში. ძმნა გიორგობიანთან, ხადირ ოვის ძმულში «მეღავათის» დუქანში. ხეზე მოძუშავეთა საზოგ. კანტორაში, ავჭალის ქუჩა № 11. სანდრო კვაჭაძესთან, სასტუმრო ანონაში. ვანო კირკაშიძესთან, ხარატუროვის სტამბაში. ყარამან ხინიძესთან, ავჭალის ქუჩა № 80. მაქს. ტყეშელაშვილთან, მალაკნის ქუჩა № 52. სევერიანე ხვიჩიასთან, ტოლეს ქარხანაში.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება გაზეთის აგენტებთან.

რედაქცია აცხადებს, რომ რედაქციის ყოველივე ანგარიშები უნდა იგზავნებოდეს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Семеновская № 4, газ. „Ахали Квекана" Александру Маисурадзе. (3—1)

---

## საოჯახო სასტუმრო
## „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის ახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე. ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს.** (20—509—5)

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**ვ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გელეიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. ტერ-მინასიანი:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (ხალ.—183)

---

## საჭიროა
### აგენტები

**„სორაპანის"** ამხანაგობისათვის ჟურნალ-გაზეთების გასასყიდად:

1) ქ. ბაქოში,
2) ქ. ერევანში,
3) ქ. ყარსში,
4) ქ. ალექსანდროპოლში,
5) ქ. განჯაში,
6) დ. ჩოხატაურში,
7) ქ. სიღნაღში,
8) ქ. ვლადიკავკაზში.

თითოეულ აგენტს ექნება შემოსავალი 20 მანეთიდან 150 მანეთამდე თვეში; იმისდა მიხედვით თუ აგენტი რომელ ქალაქში იქნება, სავალდებულოა წარმოადგინოს „ზალოგი" ფულად 50 მანეთიდან 500 მანეთამდე.

მსურველს შეუძლიან მოგვმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ товарищество „Сорапань". (3—6.—3)

---

**22 დეკემბერს ღამის რვა საათზედ, ნიკოლოზის ქუჩაზედ**

### ჩამომვარდა უბიდან ხელთნაწერი

რვეული, რომელშიაც სხვა-და-სხვა ლექსები და მოთხრობები იყო მოთავსებული. რვეული 189 ფურცელია, თავში და ბოლოში აწერია: „ეს რვეული ლექსებით და მოთხრობებით ეკუთვნის ტეტიაშვილის შვილს". რადგან მპოვნელი ამ რვეულში დაწერილს ვერ გამოიყენებს, ვთხოვ უკან დამიბრუნოს, რისთვისაც დიდ მადლობას გარდავუხდი. ადრესი: „ისარი"-ს რედაქცია. (2—2)

---

◆ МАГАЗИНЪ ◆

## „КОМПОЗИЦІЯ"

**Тифлисъ, Пушкинскій пассажъ, № 8.**



**Громадная экономія** щведскаго композиціон. бѣлья.

◆ **Носится не менѣе двухъ лѣтъ.** ◆

Постоянный большой выборъ Свѣжаго товара ВОРОТНИКОВЪ, МАНИШЕКЪ и МАНЖЕТЪ.

Единственный представитель для Баку, Тифлиса и ихъ окрестностей.

**ПО ФАБРИЧН. ЦѢНАМЪ**

Передѣлка въ любой фасонъ безплатно.

**Просятъ не смѣшивать появившіеся въ продажѣ бѣлья изъ поддѣльной композиціи**

Отдѣленіе въ Баку, Кривая ул. противъ фотог. Зелинскаго. (15—13)

---

ჟურნალ-გაზეთების და წიგნების აგენტურა ამხ. „სორაპანისა" ქალ. ტფილისში.

აგენტურამ დაიწყო მოქმედება 10 დეკემბრიდან. იბარებს და ყიდულობს ყოველ გვარ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა და სხვა ბეჭვდით-სიტყვის ნაწარმოებს, როგორც საკომისიოდ ვადით და უვადოდ, ისე ნაღდ ფულზედ.

**ამხ. «სორაპანს» ჰყავს აგენტები შემდეგ ადგილებში:**

| | |
|---|---|
| 1) გორში—არჩვაძე და მაისურაძე. | 8) მათომში—ს. ფარცხელაშვილი. |
| 2) მიხაილოვში—ა. ებანოიძე. | 9) იზურგეთში—ი. ღლონტი. |
| 3) ჭიათურაში—ი. ცერცვაძე. | 10) ლანჩხუთში—შ. ცინცაძე. |
| 4) ყვირილაში—საკ. მაღაზ. „სორაპ." ამხ. | 11) ჩოხატაურში— . . |
| 5) ქუთაისში—ი. კვიცარიძე. | 12) სოხუმში—ი. მგელაძე. |
| 6) სამტრედიაში—ე. კოხრეიძე. | 13) თელავში—დ. გამყრელიძე. |
| 7) ფოთში—ი. კოხრეიძე. | 14) სიღნაღში— . . . |

საქმის სიმტკიცისათვის აგენტებს ამხ. „სორაპანის" გამგეობის კანტორაში წარმოდგენილი აქვთ ბე (ზალოგი). თვით ამხანაგობა კი დაარსებულია 1906 წელს, რომლის ძირითადი თანხა 15,000 მანეთს შეიცავს. ამ თანხის გარდა ამხანაგობის დამაარსებელნი ყოველ შემთხვევისათვის პასუხის მგებელნი არიან თვის კერძო ქონებიდან 12,000 მანეთით. ამ რიგად ამხ. „სორაპანი" ყოველ შემთხვევისათვის მზად არის თავისი ქონებით პასუხი გასცეს ყოველ გვარ მოთხოვნილებას და პირნათლად შეასრულოს თავისი ვალდებულება.

ამხანაგობის კანტორა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე, სახლი № 6, ფოსტის და დეპეშის ადრესი: Тифлисъ, Товарищество „Сорапань".

(10—6.—4) გამგე ამხ. **მ. გაჩეჩილაძე**

---

| № 101 | № 101 პურის არაყი № 101 | № 101 |
|---|---|---|



უმთავრესი კონტორა სავაჭრო სახლისა

## ძმ. სესიევებისა და ამხ.

ვაგზლის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 197.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველთ და მსმელთა, რომ თუმცა ეხლა არსებულმა არაყმა „ჟულეზნო-დოროჟნოე", „სტოლოვოე № 50" და „ფოლტავკოე" ამ ცოტა ხანში თავის საკუთარ თვისებით და უპირატესობით (სხვის ფირმების არაყებთან) შეიძინეს საწყობს დიდძალი მუშტარი, შემდეგშიაც მოიპოვებენ უფრო უმეტესს მუშტარს, მაგრამ ფირმამ მაინც გამოუშვა დღესასწაულებისთვის ახალი არაყი საუკეთესოდ გაწმენდილი: „Столовое Вино № 101". ეს არაყი გაწმენდილია ახლად დადგმულ აპარატებით, ახლად გამოგონილ **სისტემისა პარიზში** ეს არაყი არის სასმელად: რბილი, სასიამოვნო გემოსი და მშვენიერი სუნისა. ამიტომ სავაჭრო სახლი ურჩევს ბ-ნთ მყიდველთ და ბ-ნთ მსმელთ, რომ შეიძინონ ეს არაყი. (7—520—4)

№ 101 პურის არაყი № 101 (on both sides of the frame)

| № 101 | № 101 პურის არაყი № 10. | № 101 |
|---|---|---|

---

## სავაჭრო სკოლა. ‖ საბუხჰალტერო კურსები.
## ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა

(დათავებული აქვს უმაღლესი საკომერციო კურსები პეტერბურგში)

სკოლა **ხუთ კლასიანია** (პროგ. საშ, სასწავლ.) ამზადებს გიმნ. და სხვა საშ. სასწავლებლებში; აგრეთვე ამზადებს სწავლულ მოანგარიშის, ჩინის, საპატიო მოქალაქის მისაღებ ხარისხზე და სამხედრო ბეგრის მეორე ხარისხის შეღავათის მისაღებად. **მიღება შეიძლება** პირველ და მეორე კლასში იანვრიდან. ნახევარი წლის გარდასახადი 30 მანეთია.

(კურსი ნახევარ წლისა) ორივე სქესისათვის; სწავლა არის ნასადილევს. კურსის გათავება ღირს 50 მან. კურსზე მიღება დაიწყება იანვრიდან, ატესტატი მიეცემათ მაისში. იქვე ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს. ქირაზე კერძო შეთანხმებით ვინც ვერ მიასწრობს ნახევარი წლის განმავლობაში კურსის გათავებას, ხელმეორედ ასწავლიან მუქთად.

თხოვნების მიღება, პროგრამის და წესდების მიღება შეიძლება ყოველ დღე. ადრესი პირველი **თუმანოვის** ქუჩა (ავჭალ. ქუჩ. დასაწყისი) საკ. სახლი № 13. (3—537—2)

---

აქციონერთა საზოგადოება

## „გრამოფონი"



### ტფილისის განყოფილება
გოლოვინის პროსპექტი, № 9

გრამოფონი პირველია, როგორც

მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

## შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფასები** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთა აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა „გრამოფონი" შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოების საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.

გრამოფონი ოჯახში არა მარტო გამრთობია, არამედ აღმზრდელიც. უნდა ეძებდეთ **ღირ-სებას** და არა **სიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხური, ქართული, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: **ადელინა პატისა, მელბასი, ბორონატის, ტეტრაცინის, ბონისენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, ვიალცევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.**

ჩვენი საზოგადოების ყოველგვარი ნაწარმოები იყიდება ქალაქ ალექსანდროპოლსა და ყარსში „ი. ა. კუნქულოვი და შვ."-თან. (15—768—9)

---

## ავადმყოფებს და სუსტებს
## „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენცია**, იგი **მადლის მომმატებელია**. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ჟამთან. «**სპერმატინი**» შედეგია **ბრაუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლულობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუმლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს**, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლეტს, ქარებს. ქრონიკულ მუცლის შეკვრას ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**უფალო ი. გ. ახობაძე!** თხუთმეტი წელიწადია, რაც მე კუჭის ტკივილი (კატარი) მაწუხებდა რამაც ძლიერი ნერვების სისუსტე, სულის ხუთვა, გულის კანკალი და სრული უმადობა გამოიწვია ჩემში. მტკიოდა აგრეთვე ხერხემალი, მარცხენა გვერდი საშინლად გამისივდა და ორივე ბეჭში ტეხვა მქონდა ავარდნილი. მივმართე ექიმებს, ვიხმარე სხვა და სხვა ზომები, მაგრამ შესამჩნევი უკეთობა მაინც ვერ ვიგრძნე. ბოლოს გაზეთ «ისრის» წყალობით გავიგე, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში მოსამზადებულ «სპერმატინს» ძლიერ კეთილი შედეგი მოაქვს, თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ, რომლის საწყობი თქვენთან ყოფილა მთელი კავკასიისათვის, და დავეშურე მიმეღო ეს უკანასკნელი საშუალებაც. ოთხი ფლაკონის მიღების შემდეგ თან და თან ვგრძნობდი უკეთობას და 7 ფლაკონის მიღების შემდეგ კი სრულიად განვიკურნე, რისთვისაც ურმეს მადლობას ვუძღვნი, როგორც ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ივანოვს, ისე თქვენ.

დავშთები ღრმესის პატივისცემით **ვ. ფ. მახვილაძე.**

ტფილისი, სინოდალური ქ. სახლი № 4. 24 დეკ.

**მ. ს. ბ. ახობაძე!** გულით და სულით მადლობას გიძღვნით იმისთვის, რომ მე მყავს ერთად-ერთი ძუძუს-მწოვარი ბავშვი, რომელიც მყავდა რვა თვეს ავად. ბევრი წამალი ვიხმარე, მაგრამ არაფერი საშუალება არ მისცა წამალმა. ბავშვი უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდა. იმდენად დასუსტდა, რომ ჭამაც მიატოვა. შემდეგ გავიგე გაზეთ „ჩვენი გზის" წყალობით, რომ თქვენ გაქვთ კანტორა და საწყობი «სპერმატინისა», რომელიც მოქმედებს თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ. მე გამოვიწერე ერთი ფლაკონი და რომ მიიღო ბავშვმა, გაცოცხლდა; ერთის სიტყვით, ბავშვი სრულებით მორჩა. ამიტომ კიდევ დიდს მადლობას გწირავთ. ჩვენი ადრესი სოფელ ჭაკანი, ქუთაის. გუბ. და მაზრა. **სევერიან პოცხვერია.** 20 ოქტომბერი.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმანი" ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მან. ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**ბ-ნი გალენიჩენკოს,** ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის" გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება. ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის" მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის" ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: ტფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის" კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში აფთიაქის საწყობში კოკოჩევთან მოიკითხეთ «სპერმატინი» ახობაძისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—6.—18)